წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №გ-119.119243342

2024 წლის 29 ნოემბერი

ქ. წალკა

ქ. წალკის ადმინისტრაციული ერთეულის – ქ. წალკის მერაბ კოსტავას ქუჩის გაგრძელების და უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის, „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8, მე-10 მუხლებისა და „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების შესაბამისად, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. ქ. წალკის ადმინისტრაციული ერთეულის – ქ. წალკის მერაბ კოსტავას ქუჩა გაგრძელდეს თანდართული სიტუაციური რუკის შესაბამისად.

2. განხორციელდეს უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდება:

ა) მერაბ კოსტავას ქუჩასთან არსებულ ჩიხს განესაზღვროს სახელწოდება – მერაბ კოსტავას III ჩიხი.

3. წალკის მუნიციპალიტეტის მერიამ ოთხი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. თეთრიწყარო, კოსტავას ქ. №11) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე **ირაკლი გიგინეიშვილი**